

ქ. თბილისი

11 აპრილი 2019 წელი

სხდომას ესწრებას სპორტული საბჭოს 5 წევრი:

დავით მჭედლიშვილი

ვაჟა ლეჟავა

მერაბ სალუქვაძე

შოთა მამრიკიშვილი

შალვა ზამთარაძე

სპორტული საბჭოს სხდომისწევრის ვაჟა ლეჟავას წარდგინებით სპორტული საბჭოს სხდომის თავმჯდომარედ დასახელდა დავით მჭედლიშვილის კანდიდატურა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 5

წინააღმდეგი 0

თავი შეიკავა 0

(კენჭისყრაში მონაწილეობდა საბჭოს 5 წევრი)

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარის, დავით მჭედლიშვილის წარდგინებით სპორტული საბჭოს სხდომის მდივნად დასახელდა ვაჟა ლეჟავას კანდიდატურა.

სპორტული საბჭოს სხდომის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი ვაჟა ლეჟავას "საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაცია"-ს სპორტული საბჭოს სხდომის მდივნად დანიშვნას.

დღის წესრიგი :

- სსსფ-ის ვიცე პრეზიდენტის მევლუდ მელაძის შუამდგომლობის განხილვა;

საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის სპორტული საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 5

წინააღმდეგი 0

(კენჭისყრაში მონაწილეობდა სპორტული საბჭოს 5 წევრი)

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

1) სსსფ-ის ვიცე პრეზიდენტის მევლუდ მელაძის შუამდგომლობის განხილვა;

სპორტული საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მჭედლიშვილმა მოახსენა სხდომას, რომ სსსფ-ის ვიცე პრეზიდენტმა მევლუდ მელაძემ შუამდგომლობით მომართა სპორტულ საბჭოს და ითხოვა, რომ განხილულიყო 2019 წლის დრიფტის სერიის, სამოყვარულო კლასში გამარჯვებული სამი მონაწილის ლიცენზირებულ მრბოლელებთან ერთად წყვილში რბოლის შესაძლებლობა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოყვარული მრბოლელების ავტო მანქანები აღჭურვილები იქნებიან უსაფრთხოების კარკასით, ოთხ წერტილიანი სპორტული ღვედით და მრბოლელი უსაფრთხოების ჩაფხუტით. აღნიშნული თხოვნა მევლუდ მელაძემ დაასაბუთა იმ გარემოებით, რომ ამ სახეობის მზარდი პოპულარობის გამო მოყვარულ მრბოლელებს შორის არის დიდი ინტერესი და მათ მიეცეთ დამატებითი მოტივაცია შეჯიბრებაში მონაწილეობისა.

სხდომის წევრებმა იმსჯელეს შუამდგომლობის შინაარსზე და მიაჩნიათ, რომ 2019 წლის დრიფტის სერიაზე გამონაკლისის სახით, იმ მიზნით, რომ მოხდეს მოყვარული მრბოლელების დამატებითი მოტივაცია და წახალისება, მიეცეთ უფლება სამოყვარულო კლასში გამარჯვებულ სამ მოყვარულ მრბოლელს მონაწილეობა მიიღოს ლიცენზირებულ სპორტსმენებთან ერთად წყვილში რბოლაში, მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათი სარბოლო ავტო მანქანები აღჭურვილი იქნებიან უსაფრთხოების კარკასით, ოთხ წერტილიანი სპორტული ღვედით, სპორტული სავარძლით, ხოლო თავად მრბოლელი უსაფრთხოების ჩაფხუტით. რაც შეეხება მრბოლელის ლიცენზიას, გამონაკლისის სახით მიეცეთ სამოყვარულო კლასის სამ გამარჯვებულს მონაწილეობა მიიღონ ლიცენზიის გარეშე, ხოლო მომავალ წელს აღნიშნული საკითხი დამატებით იქნება განხილული სსსფ-ის სპორტული საბჭოს მიერ და დამატებით მოთხოვნად განისაზღვრება შეჯიბრების რეგლამენტში.

საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის სპორტული საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ, დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა ზემოთ ჩამოთვლილი პირობებით სამოყვარულო კლასის გამარჯვებული სამი მრბოლელის პროფესიონალ მრბოლელებთან ერთად ასპარეზობის შესაძლებლობა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 5

წინააღმდეგი 0

(კენჭისყრაში მონაწილეობდა სპორტული საბჭოს 5 წევრი)

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხი იქნა განხილული. სპორტული საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:  დავით მჭედლიშვილი

სხდომის მდივანი:  ვაჟა ლეჟავა

სხდომის წევრი:  შალვა ზამთარაძე

სხდომის წევრი:  მერაბ სალუქვაძე

სხდომის წევრი:  შოთა მამრიკიშვილი